20 სექტემბერი 2021 წ.

# შპს „მეტალ ფორს ჯორჯია“

საიდენტიფიკაციო კოდი № 404867649

METAL FORCE GEORGIA
მეტალ ფორს ჯორჯია

# *ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის*

# შინაარსი


- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ........................................................ 3 გვ
- საქმიანობის შედეგები (მოგება / ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება) .................... 4 გვ

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.......................................................... 5 გვ
2. ზოგადი ინფორმაცია ................................................................................ 6 გვ
3. ურთიერთდამოკიდებული პირები ................................................................ 7 გვ
4. მომზადების საფუძველი ........................................................................... 7 გვ
5. სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა ............................................................ 8 გვ
6. საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“) ............................ 8 გვ
7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა ................................ 9-13 გვ
8. აქტივები ............................................................................................. 14-16 გვ
9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება .......................................... 16-17 გვ
10. საგადასახადო ვალდებულებები ................................................................ 18 გვ
11. მიღებული ავანსები .................................................................................. 18 გვ
12. ფინანსური რისკები .................................................................................. 18 გვ
13. საწესდებო კაპიტალი ................................................................................ 19 გვ
14. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება ....................................... 19 გვ
15. შემოსავლის აღიარება ............................................................................... 20 გვ
16. ანარიცხები, პირობითი ვალდ. და აქტივები ............................................... 20 გვ
17. წინა პერიოდის შეცდომების გასწორება ...................................................... 20 გვ
18. ხარჯის აღიარება ....................................................................................... 21 გვ
19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები .................................. 22 გვ

**ფინანსური მდგომარეობა:**
**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

| ფინანსური მდგომარეობა | შენიშვნა | 31/12/2020 | 31/12/2019 |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 8.1 | 139,975 | 24,467 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 8.3 | 175,905 | 62,393 |
| გადახდილი ავანსები | | - | - |
| **მარაგები** | | **920,564** | **1,273,848** |
| მზა პროდუქცია | 8.2 | 920,564 | 1,273,848 |
| სხვა | | - | - |
| საინვესტიციო ქონება | | - | - |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | - | - |
| ბიოლოგიური აქტივები | | - | - |
| თვითღირებულების მოდელით | | - | - |
| გადაფასების მოდელით | | - | - |
| გუდვილი | | - | - |
| სხვა არამატერიალური აქტივები | | - | - |
| ძირითადი საშუალებები | 8.5 | 1,051,858 | 1,075,558 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | | - | - |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | | - | - |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 8.4 | 10,563 | 22,598 |
| **სულ აქტივები** | | **2,298,865** | **2,458,864** |
| **ვალდებულებები** | | | |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | | - | - |
| სავაჭრო ვალდებულებები | 9.1 | 296,998 | 883,229 |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები | | - | - |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | | - | - |
| საგადასახადო ვალდებულებები | | - | - |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | | - | 1,702 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 9.2 | 68,321 | 18,505 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 9.3 | 1,116,422 | 951,386 |
| მიღებული გრანტები | | | - |
| სხვა ვალდებულებები | 9.4 | 2,214 | 495 |
| **სულ ვალდებულებები** | | **1,483,955** | **1,855,317** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 13 | 97,820 | 97,820 |
| საემისიო შემოსავალი | | - | - |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | | - | - |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | 14 | 717,090 | 505,727 |
| გადაფასების რეზერვი | | - | - |
| სხვა რეზერვები | | - | - |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **814,910** | **603,547** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **2,298,865** | **2,458,864** |

**ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 20 სექტემბერს**

დირექტორი: ............................................ //ემზარ ღარიბაშვილი//

მთ.ბუღალტერი: ..................................... //ირაკლი ვეკუა//

ფინანსური მდგომარეობა:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| ფინანსური მდგომარეობა | შენიშვნა | 31/12/2020 | 31/12/2019 |
|---|---|---|---|
| აქტივები | | | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 8.1 | 139,975 | 24,467 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 8.3 | 175,905 | 62,393 |
| გადახდილი ავანსები | | - | - |
| მარაგები | | 920,564 | 1,273,848 |
| მზა პროდუქცია | 8.2 | 920,564 | 1,273,848 |
| სხვა | | - | - |
| საინვესტიციო ქონება | | - | - |
| სხვა მიმდინარე აქტივები | | - | - |
| ბიოლოგიური აქტივები | | - | - |
| თვითღირებულების მოდელით | | - | - |
| გადაფასების მოდელით | | - | - |
| გუდვილი | | - | - |
| სხვა არამატერიალური აქტივები | | - | - |
| ძირითადი საშუალებები | 8.5 | 1,051,858 | 1,075,558 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | | - | - |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | | - | - |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 8.4 | 10,563 | 22,598 |
| სულ აქტივები | | 2,298,865 | 2,458,864 |
| ვალდებულებები | | | |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | | - | - |
| სავაჭრო ვალდებულებები | 9.1 | 296,998 | 883,229 |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები | | - | - |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | | - | - |
| საგადასახადო ვალდებულებები | | - | - |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | | - | 1,702 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები | 9.2 | 68,321 | 18,505 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 9.3 | 1,116,422 | 951,386 |
| მიღებული გრანტები | | | - |
| სხვა ვალდებულებები | 9.4 | 2,214 | 495 |
| სულ ვალდებულებები | | 1,483,955 | 1,855,317 |
| საკუთარი კაპიტალი | | | |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 13 | 97,820 | 97,820 |
| საემისიო შემოსავალი | | - | - |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | | - | - |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | 14 | 717,090 | 505,727 |
| გადაფასების რეზერვი | | - | - |
| სხვა რეზერვები | | - | - |
| სულ საკუთარი კაპიტალი | | 814,910 | 603,547 |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | | 2,298,865 | 2,458,864 |

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი: ........................................................ //ემზარ ლაჩიბაშვილი//

მთ.ბუღალტერი: ................................................... //ირაკლი ჭუჭუა//

**საქმიანობის შედეგები:**
**მოგება / ზარალის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

| საქმიანობის შედეგები | შენიშვნა | 2020 | 2019 |
|---|---|---|---|
| **საქმიანობის შედეგები** | | | |
| **ნეტო ამონაგები** | | **5,794,781** | **5,431,602** |
| საქონლის გაყიდვიდან | | 5,690,541 | 5,369,627 |
| მომსახურების გაწევიდან | 8.2.1 | 104,240 | 61,975 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | | - | - |
| სხვა | | - | - |
| **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება** | | **(4,673,390)** | **(4,590,205)** |
| საწყისი მარაგები | 8.2 | (1,273,848) | (966,433) |
| მარაგების შესყიდვა | 8.2 | (4,324,604) | (4,904,346) |
| გადამუშავების დანახარჯები | | - | - |
| საბოლოო მარაგები | 8.2 | 920,565 | 1,274,256 |
| **საერთო მოგება** | | **1,121,391** | **841,397** |
| სხვა შემოსავალი | | - | - |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | 18 | (355,507) | (275,118) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 18 | (27,921) | (23,989) |
| საპროცენტო შემოსავალი: | | - | - |
| საპროცენტო ხარჯი : | 9.1-18 | (103,769) | (105,611) |
| იჯარის ხარჯი | 18 | (77,364) | (92,447) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 18 | (40,841) | (36,161) |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | | **(605,402)** | **(532,326)** |
| **საოპერაციო მოგება** | | **515,989** | **308,071** |
| **გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:** | | | |
| ფინანსური აქტივები | | - | - |
| მარაგები | | - | - |
| სხვა არაფინანსური აქტივები | | - | - |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან | | (411,749) | (319,554) |
| მიღებული დივიდენდები | | - | - |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) | | 138,154 | 98,200 |
| **მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან** | | **242,394** | **86,717** |
| მოგების გადასახადი | 14 | (4,673) | (10,467) |
| **მოგება/(ზარალი)** | | **237,721** | **76,250** |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | | |
| ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი | | - | - |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | | - | - |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ | | - | - |
| **მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)** | | **292,104** | **76,250** |
| კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) | 14 | 603,547 | 586,613 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | | - | - |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 14 | (26,358) | (59,316) |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | | - | - |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | | - | - |
| **კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს** | | **814,910** | **603,547** |

**ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 20 სექტემბერს**

დირექტორი: ............................................ //ემზარ ღარიბაშვილი//

მთ.ბუღალტერი: ....................................... //ირაკლი ვეკუა//

საქმიანობის შედეგები:
მოგება / ზარალის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

| საქმიანობის შედეგები | შენიშვნა | 2020 | 2019 |
|---|---|---|---|
| საქმიანობის შედეგები | | | |
| ნეტო ამონაგები | | 5,794,781 | 5,431,602 |
| საქონლის გაყიდვიდან | | 5,690,541 | 5,369,627 |
| მომსახურების გაწევიდან | 8.2.1 | 104,240 | 61,975 |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | | - | - |
| სხვა | | - | - |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება | | (4,673,390) | (4,590,205) |
| საწყისი მარაგები | 8.2 | (1,273,848) | (966,433) |
| მარაგების შესყიდვა | 8.2 | (4,324,604) | (4,904,346) |
| გადამუშავების დანახარჯები | | - | - |
| საბოლოო მარაგები | 8.2 | 920,565 | 1,274,256 |
| საერთო მოგება | | 1,121,391 | 841,397 |
| სხვა შემოსავალი | | - | - |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | 18 | (355,507) | (275,118) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 18 | (27,921) | (23,989) |
| საპროცენტო შემოსავალი: | | - | - |
| საპროცენტო ხარჯი : | 9.1-18 | (103,769) | (105,611) |
| იჯარის ხარჯი | 18 | (77,364) | (92,447) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 18 | (40,841) | (36,161) |
| სულ საოპერაციო ხარჯები | | (605,402) | (532,326) |
| საოპერაციო მოგება | | 515,989 | 308,071 |
| გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება: | | | |
| ფინანსური აქტივები | | - | - |
| მარაგები | | - | - |
| სხვა არაფინანსური აქტივები | | - | - |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან | | (411,749) | (319,554) |
| მიღებული დივიდენდები | | - | - |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) | | 138,154 | 98,200 |
| მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | | 242,394 | 86,717 |
| მოგების გადასახადი | 14 | (4,673) | (10,467) |
| მოგება/(ზარალი) | | 237,721 | 76,250 |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი): | | | |
| ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი | | - | - |
| სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები) | | - | - |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ | | - | - |
| მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი) | | 292,104 | 76,250 |
| კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) | 14 | 603,547 | 586,613 |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | | - | - |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი) | 14 | (26,358) | (59,316) |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში | | - | - |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები | | - | - |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | | 814,910 | 603,547 |

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი: ........................................ //ემზარ ღარიბაშვილი//

მთ.ბუღალტერი: ........................................ //ირაკლი ვ[illegible]ა//

## 1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს)

**ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია**
მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

**ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია**
კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

**ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 20 სექტემბერს**

დირექტორი: ............................................ //ემზარ ღარიბაშვილი//

მთ.ბუღალტერი: ..................................... //ირაკლი ვეკუა//

## 1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს)

**ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია**
მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას.
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე.
- საწარმოს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

**ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია**
კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი: ................................ //ომარ ღარიბაშვილი//

მთ.ბუღალტერი: ................................ //ომარ ვეკუა//

# ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

## *2. ზოგადი ინფორმაცია*

### *2.1 კომპანია და მისი ოპერაციები:*

- შპს „მეტალ ფორს ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2010 წლის 19 ივლის და სამეწარმეო საქმიანობას ეწევა საქართველოში. „კომპანია“ შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით „საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ“-ის შესაბამისად. „კომპანიის“ საიდენტიფიკაციო კოდი - 404867649.
- რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ე.მინდელის ქ № 12, ბლოკი № 2, ბინა № 2
- მაღაზია/საწყობის ფაქტობრივი მისამართია: ქ.თბილისი, ა.წერეთლის გამზირი, № 118.
- მიწის რეგისტრირებული მისამართია: ქ.თბილისი, ა.წერეთლის გამზირი, № 118. საკადასტრო კოდი: 01.13.05.002.096; არასასოფლო სამეურნეო; 707 კვ.მ.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ დამფუძნებლები არიან :

- ემზარ ღარიბაშვილი პ/ნ: 01011041895 - 60 % წილის მფლობელი
- ინგა ბიჭიაშვილი პ/ნ: 01006010009 - 40 % წილის მფლობელი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ დირექტორია :

- ემზარ ღარიბაშვილი პ/ნ: 01011041895 - 60 % წილის მფლობელი

- შპს „მეტალ ფორს ჯორჯია“ ახორციელებს მზა პროდუქციის იმპორტს შემდგომში რეალიზაციის მიზნით და მისი ძირითადი საქმიანობაა: საბითუმოდა და საცალო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით. *(ლითონის მილები; ლითონის უნაკერო მილები; ლითონის პროფილური მილები „მილკვადრატები“; ლითონის ცხლად/ცივად ნაგლინი ფურცლები; ლითონის არატოლგვერდა პროფილები „კუთხოვანა“; ლითონის ბულბასმაგვარი პროფილები „ზოლოვანა“; ფოლადის მართკუთხა წნელი „მასიური კვადრატი“; ლითონის მრგვალი წნელი „მრგვალი რკინა“;)* ეკონომიკური საქმიანობის (NACE 2) კოდი **G.46.73.2**
- შპს „მეტალ ფორს ჯორჯია“ - ს დამატებით საქმიანობას წარმოადგენს: საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვა; კონკრეტულ შემთხვევაში საკუთარი მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა; ეკონომიკური საქმიანობის (NACE 2) კოდი **L.68.20.3**
- შპს „მეტალ ფორს ჯორჯია“ - ს ასევე დამატებით საქმიანობას წარმოადგენს: მანქანათმშენებლობის ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები; კონკრეტულ შემთხვევაში კომპანიის საკუთრებაში არსებული მანქანა-დანადგარით (გელიოტინა) მომსახურება, ლითონის ფურცლების სხვა და სხვა ზომებზე დამუშავებისთვის და დაჭრისთვის; ეკონომიკური საქმიანობის (NACE 2) კოდი **C.25.62.0**
- შპს „მეტალ ფორს ჯორჯია“ საქართველოს მასშტაბით ფლობს **მაღაზია/საწყობს** - რომელიც არის იჯარით აღებული ფართი (ფინანსური იჯარა არ არის).
- შპს „მეტალ ფორს ჯორჯია“ -მ 2019 წლის 24 აპრილს შეიძინა უძრავი ქონება, კერძოდ **მიწა** დამატებითი სამეწარმეო სამიანობისთვის, რომელსაც გასცემს იჯარით (ფინანსური იჯარა არ არის)

- შპს „მეტალ ფორს ჯორჯია“ -მ 2019 წლის 3 დეკემბერს შეიძინა მანქანა-დანადგარი კერძოდ **გელიოტინა Baikal 2560X4** დამატებითი სამეწარმეო სამიანობისთვის, რომლითაც ახორციელებს შემდეგი სახის მომსახურებას - ლითონის ფურცლების სხვა და სხვა ზომებზე დამუშავებას და მექანიკურ ჭრას.

### 2.2 საქართველოს ბიზნეს გარემო

- კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად კომპანია დამოკიდებელია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. საქართველოს აქვს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები. საქართველოს საგადასახადო კანომდებლობა ექვემდებარება განხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირად იცვლება. სამომავლო ეკონომუკური საქმიანობა დამოკიდებულია მთავრობის მიერ გატარებულ და გასატარებელ რეფორმებზე. მთელ მსოფლიოში ახლად წარმოქმნილ ვითარებიდან გამომდინარე (COVID-19 პანდემია), საქართველოს მთავრობამ, ახალი კორონა ვირუსის COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით აამოქმედა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს და წესებს. კომპანიის შეფასებით, მსოფლიოს და საქრთველოს მასშტაბით მოპოვებული არსებული მწირი სტატისტიკით, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ, შემდეგი 1 (ერთი) წლის განმავლობაში არნიშნულ სიტუაციას (COVID-19 პანდემია) შესაძლოა ქონდეს ნეგატიური გავლენა კომპანიის სამეწარმეო საქმიანობაზე რომელიც გამოკვეთილად აისახა კომპანიის საქმიანობაზე 2020 წლის განმავლობაში, ასევე კომპანიას არ შეუძლია წინასწარ განჭვრეტა იმ მოვლენების რა გავლენაც შესაძლოა იქონიოს COVID-19 პანდემიამ საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ასევე აღსანიშნავია რომ, კომპანია ემორჩილება საქრთველოს მთავრობის მიერ მირებულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და წესებს და სჯერა რომ ყველა აუცილებელ ზომას იღებს რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომელბის უსაფრთხოება, კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა, მოქმედებს ბიზნესის მდგრადობის და განვითარების მხარდასაჭერად.

## 3. ურთიერთდამოკიდებული პირები

- შპს „მეტალ ფორს ჯორჯია“-ს არ ყავს ურთიერთდამოკიდებული კომპანიები ან/და პირები.

## 4. მომზადების საფუძველი:

### 4.1 შესაბამისობა

- წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს „კომპანიის“ მესამე წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, „მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) და „საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“-ის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირველადი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

## *4.2 შეფასების საფუძველი*

- კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს სრულ წელს - 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
- კომპანიაში ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის ავტომატიზაციის მიზნით დანერგილია ბუღალტრული აღრიცხვის ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიები, კერძოდ ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამა „SuperFin”-ი და „Fina”. პროგრამაში უზრუნველყოფილია ოპერაციების სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა ბუღალტრული ანგარიშგების მიხედვით.
- სააღრიცხო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგრაშიგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

## *5. სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა*

- საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL”), რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.
- უცხოურ ვალუტაში („აშშ დოლარი“, „USD”) განხორციელებული ოპერაციების და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების და უცხორ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აისახება როგორც ფინანსური შემოსავლები და ხარჯები.

| ვალუტა | სავალუტო გაცვლითი კურსები | |
|---|---|---|
| | 2020 წლის ბოლოს | 2019 წლის ბოლოს |
| **აშშ დოლარი** | **3.2766 ₾** | **2.8677 ₾** |

- ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია **ქართულ ლარში**, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო და ანგარიშგების წარმოსადგენ ვალუტას.

## *6. საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო“)*

- წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციის და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

## *7. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:*

- ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

**კლასიფიკაცია მოხდა მოკლევადიანი/გრძელვადიანობის მიხედვით**

- კომპანია წარმოადგენს აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც ეფუძნება მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციას.
  - თუ მოსალოდნელია ან განზრახულია მათი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის დროს;
  - ინახება უპირველესად სავაჭრო მიზნებისათვის;
  - თუ მისი რეალიზაცია იგეგმება, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში;
  - ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები, რომელთა გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დაფარვისთვის არ არის შეზღუდული საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.

  ყველა დანარჩენი აქტივი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი.
- ვალდებულება არის მიმდინარე, როცა:
  - მოსალოდნებლია, რომ დაიფაროს ჩვეულებრივ საოპერაციო ციკლის დროს.
  - უპირველესად სავაჭრო მიზნებისათვისაა.
  - უნდა გადახდილ იქნას საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში.
  - თუ ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტების გადაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გადახდა შეზღუდული არ არის საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის გამმავლობაში.

  ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანად მიიჩნევს. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირდება გრძელვადიან აქტივებად და ვალდებულებებად.

**შემოსავლისა და ხარჯების აღიარება**

**შემოსავლის აღიარება**

- შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. შემოსავალი ფასდება ანაზღაურებული ან ასანაზღაურებელი საკონპენსაციო თანხის საბაზრო ღირებულებით, კონტრაქტით განსაზღვრული გადახდის ვადისა და დასაბეგრი თანხის გათვალისწინებით. შემოსავლის მიღებისას კომპანია ხელმძღვანელობს კონკრეტილი კრიტერიუმებით, იმისათის, რომ განსაზრვროს შემოსავალი მიღებულია ძირითადი, დამატებითი თუ არაძირითადი საქმიანობიდან.
- შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით, კომპანიის მიერ შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულირების ფარგლებში, როდესაც შემოსავლის თანხა შესაძლოა საიმდოდოდ შეფასდეს და სავარაუდოა, რომ მოხდეს ოპერაციებთან დაკავშირებული ეკონომუკური სარგებლის კომპანიაში შემოდინება.

**ხარჯების აღიარება**

- კომპანია სწევს ხარჯებს ეკონომიკური საქმის წარმოებაზე, თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძვლეზე. თუკი ეკნომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და შესაძლებელია კავშირი შემოსავალთან მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება ზარალის ანგარიშგებაში ხარჯების აღიარება მოხდება რაცონაური გადანაწილების მეთოდით.
- ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება/ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

**დამატებითი ღირებულების გადასახადი**

- შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებითი ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:
  - როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
  - დებიტორულ და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.
- საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებითი ღირებულების ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის სახვა აქტივის ან საგადასახადო ვალდებულების ნაწილში.

**იჯარა**

- იჯარა აღიარდება ფინანსურ იჯარად თუ ხორციელდება აქტივთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა, სხვა დანარჩენ შემთხვევაში იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

**კომპანია როგორც მოიჯარე**

- საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსატდ ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატიურობას.
- საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

**კომპანია როგორც მეიჯარე**

- საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი საიჯარო შემოსავლების გადასახადის აღიარება ხდება შემოსავლების სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

**საწესდებო კაპიტალი**

- საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების მიხედვით. კომპანიის წესდებაში ცვლილებები (რომლებიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, მფლობელობას და ა.შ.) განხორციელდება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის/ების გადაწყვეტილების საფუძველზე.

**მოგების გადასახადი**

- მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგნეს თანხას, რომელიც აღიარდება მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მიმდინარე მოგების გადასახადთან და გადავადებულ მოგების გადასახადთან დაკავშირებით.
- მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდების დასაბეგრი მოგების ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის გადასახდელი ან გამოუყენებადი თანხა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან ვალდებულება აღიარდება წარსულში მომხდარი ოპერაციების შედეგად მომავალ საანგარიშებო პერიოდში გამოყენებად ან გადასახდელ თანხებთან დაკავშირებით. გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიქმნება ფინანსური მდგომაროების ანგარიშგების აქტივსა და ვალდებულებების, საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობის (ცნობილი, როგორც დროებითი სხვაობა) არსებობსი გამო.
- საანგარიშგებო პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახდი შეადგენს დასაბეგრი მოგების 15%-ს. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:
  - დივიდენდის გაცემა
  - სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
  - ხარჯები რომლებიც არ მიეკუთვნებიან ეკონომიკურ საქმიანობას
  - უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
  - ლიმიტის ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები
- შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, გარდა შემდეგი შემთხვევბისა:
  - როდესაც დღგ შეძენილ საქონელზე ან მომსახურეობაზე არ ექვემდებარება ჩათვლას, ასეთ შემთხვევაში დღგ ჩაითვლება შეძენილი საქონლის თითღირებულებაში;
  - მისაღები და გადასახდელი თანხები წარმოდგენილია დღგ-ს ჩათვლით;
  - ჩასათვლელი ან გადასახდელი დღგ-ს თანხა, რომელიც უკავშირდება საგადასახადო ორგანოებთან ანგარიშწორებას, ჩაითვლება დებიტორულ ან კრედიტორულ დავალიანებაში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

**საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების ეფექტი**

- 2016 წლის ივნისში, საქარველოს გადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადდთან მიმართებაში. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ეხება ყველა კომპანიას საქართველოში, გარდა ბანკებისა, სადაზრევო და მიკროსაფინანსო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს ცვლილება 2023 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.
- მოგების გადასახდით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გამოდის მოგების გამომუშავების

მომეტიდან მათი განაწილების მომენტამდე, ე.ი. მთავარ საგადასახადო ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც დამფუძნებლებზე დივიდენდის სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად, არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისაგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან მოგების განაწილების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისათვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადასახადებს, რომლებიც არ უკავშირდება პირის ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და ზღვარ გადაცილებულ წარმომადგენლობით ხარჯებს.

**უიმედო ვალების რეზერვი**

- სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტების სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

**ძირიდათი საშუალებები**

- თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები ბასს-16-ით აღირიცხება თვითღირებულეით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდომარეობაში მოყვანასთა.
- თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების აღრიცვა ხდება თვითღირებულებიდან დაგვროვილი ცვეთის და გაუფასურებულის ზარალის გამოკლებით.
- ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმპგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:
    - **ავეჯი და სხვა სახის ოფისის აღჭურვილობა 4-5 წელი**
    - **ავტომობილები და მძიმე ტექნიკა 3-5 წელი**
    - **მანქანა - დანადგარები 5 წელი**
    - **შენობა ნაგებობა 8-10 წელი**
- თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლომომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებიემისერი ცვლილება მისი განხორციელების შემთხვევაში აღიარება პერსპექტიულად.
- ძირითად საშუალებების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივების გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

**სასაქონლო - მატერიალური მარაგები**

- ბასს2 მარაგები-ს თანახმად: სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების ხარჯად აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები გაიყიდება და როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებიესმიერი თანხა, აგრეთვე სასაქონლო-მატერიალური ფასეულბების დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს.

**ფულადი სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები**

- ფინანსური სახსრები და მოკლევადიანი დეპოზიტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანაიის სალაროში არსებულ თანხებს, ასევე მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც არანაკლებ სამი თვისაა. ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფულადი სახსრები ან მათი ექვივალენტები შედგება ფულადი სახსრებისა და მოკლევადიანი დეპოზიტებისაგან, მიმდინარე საბანკო ოვერდრაფტების გამოკლებით.

**დივიდენდის განაწილება**

- კომპანია აღიარებს დამუძნებლის წინაშე დივიდენდის ფულადი ან არაფულადი სახით განაწილების ვალდებულებას, როდესაც დივიდენდი უკვე გამოცხადებულია, შესაბამისი ღირებულება აღიარდება პირდაპი კაპიტალში. არაფულადი განაცემები ფასდება გასანაწილებელი აქტივების საბაზრო ღირებულებით. ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობის თანხა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გასანაწილებელი აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება შემოსავლად მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

- გაუფასურება ხდება, როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღსადგენ ღირებუელბას, რომელიც არ აღემატება მის რეალურ თივითღირებლებას, სარეალიზაციო ხარჯებისა და სამომხმარებლო ღირებულების გამოკლებით. რეალური თვითღირებულების დაანგარიშება, რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით, ეფუძნება ხელმისაწვდომ ფასს, რომელიც მოცემულია „გაშლილი ხელის პრინციპზე“ აგებულ გაყიდვის გარიგებაში, ან საბაზრო ფასთან მიახლოებული ფასს, რომლებშიც არ შედის დამატებითი ხარჯები აქტივის გაცემისთვის.

**მოთხოვნების გაუფასურება**

- კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის დებიტორულ დავალიენებებს გაუფასურების შეფასების მიზნით, ნებისმიერი გაუფარურების ზარალის გამოსათვლელად იგი იყენებს შეფასების საკუთარ მეთოდს, როდესაც ფინანსური პრობლემები აქვს მსგავს დებიტორებთან დაკავშირებით. ამის მსგავსად, კომპანია აფასებს ცვლილბებს მომავალ ფულად ნაკადებში იმ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც მიუთითებს, რომ ჯგუფში, დებიტორების გადახდის სტატუსთან დაკავშირებით რადიკალური ცვლილებები მოხდა, ან კიდევ ეს ცვლილება განხორციელდა ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური

პირობების მხრივ, რომელიც უკავშირდება ვალდებულების შეუსრსულებლობას აქტივების ჯგუფთან დაკავშირებით.

(მსს ფასს)-ის პირველადი დანერგვა

- 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება პირველია, რომელიც კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მოამზადა. 2017 წლის 31 დეკემბრამდე კომპანია ფინანსურ აგნარიშგებას ამზადებდა საყოველთაოდ აღიარებული საბუღალტრო პრინციპების შესაბამისად. შესაბამისად კომპანიამ მოამზადა ფნანსური ანგარიშგება (მსს ფასს) საფუძველზე 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ან მის შემდგომ.

## *8. აქტივები:*

- კომპანიის აქტივების ძირითად ნაწილს წარმოადგენს ფული და ფულადი ექვივალენტები, სარეალიზაციოდ განკუთვნილი სასაქონლო მარაგები და სავაჭრო მოთხოვნები დებიტორების მიმართ. ვინაიდან კომპანია არის იმპორტიორი და იგი იმპორტს ახორციელებს შემდეგი ქვეყნებიდან - „თურქეთი“ და „ჩინეთი“, კომპანია საზღვარგარეთ საქონლის შეყიდვის მიზნით გადარიცხვებს ახორციელებს აშშ დოლარ-ში შესაბამისად საქონლის ნასყიდობის ფასი იანგარიშება საქონლის იმპორტის მომენტში არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. კომპანიას ყავს ერთი ძირითადი, კრედიტის/ფულადი სასხრების გამცემი სსმფ შესაძენად, კრედიტორი ბელგიური კომპანია სავაჭრო ურთიერთობებში, შესაბამისად კომპანიის მოთხოვნები და ავანსები ძირითადად დაკავშირებულია მის სავაჭრო პარტნიორთან.

### 8.1. ფული და ექვივალენტები:

- ფულადი სახსსრები და მათი ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში: | | | | |
|---|---|---|---|---|
| პერიოდი | ანგარიში | დასახელება | საწყისი ნაშთი | საბოლოო ნაშთი |
| 2020 01.01 – 31.12 | 1110 | ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | 4329.65 | 98579.74 |

| საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში: | | | | |
|---|---|---|---|---|
| პერიოდი | ანგარიში | დასახელება | საწყისი ნაშთი | საბოლოო ნაშთი |
| 2020 01.01 – 31.12 | 1210 | საბანკო ანგარიში ეროვნულ ვალუტაში | 5797.27 | 28075.79 |

| საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (დოლარი-ექვივალენტი ლარში) | | | | |
|---|---|---|---|---|
| პერიოდი | ანგარიში | დასახელება | საწყისი ნაშთი | საბოლოო ნაშთი |
| 2020 01.01 – 31.12 | 1220 | საბანკო ანგარიში უცხოურ ვალუტაში (დოლარი-ექვივალენტი ლარში) | 14340.39 | 13319.74 |

### 8.2. სასაქონლო - მატერიალური მარაგები:

- წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს. შეძენის დანახარჯები მოიცავს: შეძენის (ნასყიდობის) ფასს;

საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა); სატრანსპორტო, დტვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები და სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი. სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდია **„საშუალო შეწონილი"**, მარაგების აღრიცხვის მეთოდია **„მუდმივი"**

**8.3. მოთხოვნები დებიტორების მიმართ:**

- სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარდება საქონლის გასაყიდი ფასის ოდენობით. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები წარმოიშვება ჩვეულებრივ სავაჭრო ურთიერთობაში ზეპირი ან წერილობითი გარიგების შედეგად და მათი ოდენობა განისაზღვრება ვაჭრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

**8.4. გადახდილი ავანსები:**

- კომპანიის გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის შეყიდვის (იმპორტის) მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვა და სხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს, ასევე ბიჯუტეში წინასწარ გადახდილ თანხებს და სხვა..

**8.5. ძირითადი საშუალებები:**

- ძირითდი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით - თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტი მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ, აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. შემდგომში დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, ან აღიარდება როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა და შეფასება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში, მოგება-ზარალში ასახვით. ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი არის იმ ადგილას, ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე. ასევე ძირითად საშუალებებს აქვს განსაზღვრული სალიკვიდაციო ღირებულება, რომელიც შეადგენს ისტორიული ღირებულების 10 %-ს.
  - ***ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები:***

  - **ავეჯი და სხვა სახის ოფისის აღჭურვილობა 4-5 წელი**
  - **ავტომობილები და მძიმე ტექნიკა 3-5 წელი**
  - **მანქანა - დანადგარებია 5 წელი**
  - **შენობა ნაგებობა 8-10 წელი**

- ძირითადი საშუალებების აღიარება შეწყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის და ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში. ფინანსურ ანგარიშგებაშ ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

- **ძირითადი საშუალებების ცხრილი**

| ძირითადი საშუალებების ცხრილი<br>შპს "მეტალ ფორს ჯორჯია" | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ღირებულება ან გადაფასებული თანხა | შენობა - ნაგებობა | ავეჯი და სხვა და სხვა სახის ოფისის აღჭურვილობა | ტრანსპორტი და მძიმე ტექნიკა | მანქანა - დანადგარები | მიწა |
| 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 25871 | 5511 | 74623 | 17351 | 952202 |
| შესყიდვეი / კაპიტალიზაცია<br>გაყიდვები / ჩამოწერა | - | 1171 | 3051 | - | - |
| 2020 წელი | 25871 | 6682 | 77674 | 17351 | 952,202 |
| | | | | | |
| ცვეთა გაუფასურება | შენობა - ნაგებობა | ავეჯი და სხვა სახის ოფისის აღჭურვილობა | ტრანსპორტი და მძიმე ტექნიკა | მანქანა - დანადგარები | მიწა |
| მიმდინარე წლის ცვეთის ხარჯი / გაყიდვის მომენტრში დაგვრ არსებული ცვეთა | (3,182) | (1664) | (19969) | (3106) | - |
| 2020 წელი | (3,182) | (1664) | (19969) | (3106) | - |
| | | | | | |
| საბალანსო ღირებულება | შენობა - ნაგებობა | ავეჯი და სხვა სახის ოფისის აღჭურვილობა | ტრანსპორტი და მძიმე ტექნიკა | მანქანა - დანადგარები | მიწა |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 22689 | 5018 | 57705 | 14245 | 952,202 |

### 8.6. ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

- მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებშ არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს
- 500 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპუატაციაში გადაცაემისთანავე მიეკუთხვნება საოფისე ხარჯებს (კალკულატორი ,ტელ.აპარატი და სხვა)
- კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აცულებელინ ნივთები და მასალები (კატრიჯები, დისკები, ეკრანი ს გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვენა კომპიუტერის ხარჯებს
- მასალები რომელიც უშუალოდ არ იღებს მონაწილეობას პროდუქციის შემნადგენლობაში და გამოიყენება როგორც დამხარე ტექნოლოგიური საშალება ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე

## *9. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება:*

### 9.1. სავაჭრო ვალდებულებები:

- სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შეასრულოს თავისი მოვალეობები საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, კომპანიის კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენს მოკლევადიან ვალდებულებებს, რომელიც წარმოშობილია საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით, ასევე მოკელვადიან სეხს რომელიც წარმოშობილია წილის გასხვისების შედეგად. სავაჭრო ვალდებულებას წარმოადგენს მუდმივად განახლებადი მოკლევადიანი სესხი სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შესაძენად შესაძენად, რომელსაც გასცემს 7-ე პუნქტში მოხსენიებული ბელგიური კომპანია.

| პერიოდი | 01.01.2020 – 31.12.2020 |
|---|---|
| დარიცხული საპროცენტო ხარჯი | 52743 ლარი |
| გადახდილი საპროცენტო ხარჯი | 52743 ლარი |

### 9.2. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

- სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილს წარმოადგენს მოკლევადიანი სესხი პარტნიორებისგან, მომწოდებლის ვალის დასაფარად და 2020 წლის 31 დეკებრის მდგომარეობით შეადგენს 68321 ლარს.

### 9.3. მიმდინარე სასესხო გრძელვადიანი ვალდებულებები:

- მიმდინარე სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია გრძელვადიანი სესხების სახით და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1116422 ლარს ეროვნულ ვალუტაში.

  **კრედიტორი ს.ს. „თიბისი ბანკი“ ს/კ 204854595**

| დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი | საპროცენტო განაკვეთი | ვალუტა | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 22.04.2019 | 01.08.2029 | 6 % | USD | 350,000.00 |
| სულ გრძელვადიანი სესხი | | | | 350,000.00 |
| ძირითადი თანხა | | | | 350,000.00 |
| საპროცენტო ვალდებულება | | | | 125,999.83 |
| საკრედიტო ხაზი | | | | 28,783,51 |
| დაფარული ვალდებულება | | | | (164057,59) |
| სულ მიმდინარე სესხი | | | | 340725,75 |
| **გადახდილი პროცენტები 2020 წ.** | 51025 ლარი | | | |

**9.3.1** სესხი აღებულია უძრავი ქონების *(მიწა რეგისტრირებული მისამართი: ქ.თბილისი, ა.წერეთლის გამზირი, № 118. საკადასტრო კოდი: 01.13.05.002.096; არასასოფლო სამეურნეო; 707 კვ.მ)* შესაძენად, რომელიც წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების ცხრილში და აღნიშნული უძრავი ქონების იჯარით გაცემა წარმოადგენს კომპანიის დამატებით სამეწარმეო საქმიოანობას, **დამატებითი შემოსავლის მიღების წყაროს.**

### 9.4. სხვა ვალდებულებები:

- წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე მოკლევადიან ვალდებულებებს, რომელიც წარმოიშობა სხვა და სხვა აღიარებული ხარჯის გათვალისწინებით.

## *10. საგადასახადო ვალდებულებები:*

- კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას წარმოადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც ბალანსში აისახება პერიოდის ბოლოს: გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშო თვის 15 რიცხვისა და დარიცხული ქონების გადასახადი რომლის გადახდაც ხდება მომდევნო საანგარიშო პერიოდის სარაგუგვიანეს 1 აპრილისა.

## *11. მიღებული ავანსები:*

- კომპანიის მიღებული ავანსები წარმოადგენს წინასწარ მიღებულ თანხებს, მომხმარებლისთვის მოსაწოდებელი საქონლის ან მომსახურების გაწევამდე მიღებულ თანხებს.

## *12. ფინანსური რისკები*

- კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.
- **ფინანსური რისკი** მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
- **საბაზრო რისკი** საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.
- **სავალუტო რისკი** სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.
- **ლიკვიდურობის რისკი** ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

## 13. *საწესდებო კაპიტალი:*

- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 97,820 ლარს.

| დამფუძნებელი | პირადი ნომერი | წილის ფლობა | შენატანი | რეგისტრაციის თარიღი | ვალუტა | ექვივალენტი ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემზარ ღარიბაშვილი | 01011041895 | 60 % | 24000 | 30.03.2017 | აშშ დოლარი | 58,692 |
| ინგა ბიჭიაშვილი | 01006010009 | 40 % | 16000 | 30.03.2017 | აშშ დოლარი | 39,128 |

## 14. *საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის*

- კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში, მას ასევე აქვს გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები.
-

| საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება | საწესდებო კაპიტალი | გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| **2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით** | **97,820** | **-** | **488,793** | **586,613** |
| წმინდა მოგება | - | - | 86,717 | **86,717** |
| სხვა სრული შემოსავალი | - | - | - | - |
| პერიოდის სრული შემოსავალი | - | - | 86,717 | **86,717** |
| გაცემული დივიდენდი | - | - | (59,316) | **(59,316)** |
| მოგების გადასახადი | - | - | (10,467) | **(10,467)** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | - | - | - | - |
| **2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **97,820** | **-** | **505,727** | **603,547** |
| წმინდა მოგება | - | - | 242,394 | **242,394** |
| სხვა სრული შემოსავალი | - | - | - | **-** |
| პერიოდის სრული შემოსავალი | - | - | 242,394 | **242,394** |
| გაცემული დივიდენდი | - | - | (26,358) | **(26,358)** |
| მოგების გადასახადი | **-** | **-** | (4,673) | **(4,673)** |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | | - | - | **-** |
| **2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **97,820** | **-** | **717,090** | **814,910** |

**ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 20 სექტემბერს**

დირექტორი: ............................................. //ემზარ ღარიბაშვილი//

მთ.ბუღალტერი: ...................................... //ირაკლი ვეკუა//

## 13. საწესდებო კაპიტალი:

- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 97,820 ლარს.

| დამფუძნებელი | პირადი ნომერი | წილის ფლობა | შენატანი | რეგისტრაციის თარიღი | ვალუტა | ექვივალენტი ლარში |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემზარ ღარიბაშვილი | 01011041895 | 60 % | 24000 | 30.03.2017 | აშშ დოლარი | 58,692 |
| ინგა ბიჭიაშვილი | 01006010009 | 40 % | 16000 | 30.03.2017 | აშშ დოლარი | 39,128 |

## 14. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

- კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში, მას ასევე აქვს გამოცხადებული და გაცემული დივიდენდები.
- 

| საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება | საწესდებო კაპიტალი | გადაფასების რეზერვი | გაუნაწილებელი მოგება | სულ კაპიტალი |
|---|---|---|---|---|
| 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით | 97,820 | - | 488,793 | 586,613 |
| წმინდა მოგება | - | - | 86,717 | 86,717 |
| სხვა სრული შემოსავალი | - | - | - | - |
| პერიოდის სრული შემოსავალი | - | - | 86,717 | 86,717 |
| გაცემული დივიდენდი | - | - | (59,316) | (59,316) |
| მოგების გადასახადი | - | - | (10,467) | (10,467) |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | - | - | - | - |
| 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 97,820 | - | 505,727 | 603,547 |
| წმინდა მოგება | - | - | 242,394 | 242,394 |
| სხვა სრული შემოსავალი | - | - | - | - |
| პერიოდის სრული შემოსავალი | - | - | 242,394 | 242,394 |
| გაცემული დივიდენდი | - | - | (26,358) | (26,358) |
| მოგების გადასახადი | - | - | (4,673) | (4,673) |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა | | - | - | - |
| 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 97,820 | - | 717,090 | 814,910 |

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი: ........................................ //ემზარ ღარიბაშვილი//

მთ.ბუღალტერი: ........................................ //ირაკლი ვეკუა//

Metal Force Georgia LLC. ID № 404867649. E.Mindeli St № 12, Blk № 2, Apt № 2. Tbilisi. Georgia.

## 15. *შემოსავლის აღიარება:*

- შემოსავლების შეფასება ხდება, მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს. მომსახურებისგან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის პრპორციულად.

## 16. *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*

- პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შეთხვევაში თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კოპმანიაში, მაშინ მასტან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდისანგარიშგებაში, როდსაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:
- კომპანიას აქვს მიმდინარემოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოველობის თანხის საიმედოდ შეფასება.

  კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ქონია პირობითი აქტივი, ვალდებულებები და ანარიცხები.

## 17. *წინა პერიოდის შეცდომების გასწორება*

- წინა პერიოდის შეცდომები აღნიშნავს საწარმოს წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულ უზუსტობას, კერძოდ ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვერ გამოიყენეს, ან არასწორად გამოიყენეს საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

  (ა) ხელმისაწვდომი იყო იმ მემენტისათვის, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა; და

  (ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოპიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს. ამგვარ შეცდომებს განეკუთვნება მათემატიკური შეცდომები, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებული შეცდომები, ფაქტების უყურადღებოდ დატოვების ან არასწორი ინტერპრეტაციის.

## *18. ხარჯის აღიარება:*

- მოგება / ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ.

| საოპერაციო ხარჯები | 2020 | 2019 |
|---|---|---|
| | | |
| შრომის ანაზღაურება | 339,243 | 260,200 |
| დაზღვევის ხარჯი | 16,264 | 14,918 |
| დაგროვებითი პენსია | 6,208 | 4,709 |
| რეკლამის ხარჯები | 195 | - |
| საიჯარო ქირა | 77,364 | 92,447 |
| ქონების გადასახადი | 1,679 | 1,268 |
| საოფისე ინვენტარი | 5,729 | 4,478 |
| კომუნიკაციის ხარჯები | 2,712 | 3,153 |
| დაცვის მომსახურების ხარჯი | 3,595 | 2,311 |
| რემონტი | 3,198 | 557 |
| საკონსულტაციო ხარჯები | 1,247 | 1,992 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 27,921 | 23,989 |
| საკანცელარიო ხარჯი | 224 | 293 |
| ბანკის მომსახურება | 7,425 | 6,388 |
| საწვავის ხარჯი | 1,946 | 2,011 |
| სხვა და სხვა მომსახურება | 2,112 | 1,125 |
| კომუნალური ხარჯი | 4,572 | 6,836 |
| საპროცენტო ხარჯები | 103,769 | 105,611 |
| **სულ საოპერაციო ხარჯი** | **605,402** | **532,326** |

## *19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები:*

- ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციების შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. (ასეთის არსებობის შეთხვევაში). 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის 20.09.2021 კომპანიაში განხორციელდა სარეგისტრაციო ცვლილება, კერძოდ შეიცვალა კომპანიის იურიდიული მისამართი რომელიც უკვე ასახულია „**ზოგად ინფორმაციაში. 6. გვ“**
- მთელ მსოფლიოში ახლად წარმოქმნილ ვითარებიდან გამომდინარე (COVID-19 პანდემია), საქართველოს მთავრობამ, ახალი კორონა ვირუსის COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით აამოქმედა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს და წესებს. კომპანიის შეფასებით, მსოფლიოს და საქრთველოს მასშტაბით მოპოვებული არსებული მწირი სტატისტიკით, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ, შემდეგი 1 (ერთი) წლის განმავლობაში როგორც ეს მოხდა 2020 წელს, აღნიშნულ სიტუაციას (COVID-19 პანდემია) შესაძლოა ქონდეს (2020 წელს აღნიშნულს სიტუაციას ქონდა ნეგატიური გავლენა კომპანიის საქმიანობაზე) ნეგატიური გავლენა კომპანიის სამეწარმეო საქმიანობაზე გამომდინარე იქიდან რომ, 2020 წლის 20 მარტიდან 2020 წლის 28 აპრილამდე კომპანიას მოუწია სამეწარმეო საქმიანობის შეჩერება სახელმწიფო რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მუდვივად იცვლებოდა სამეწარმეო გარემო საქართველოში, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის სავაჭრო მოქმედებებზე, ასევე კომპანიას არ შეუძლია წინასწარ განჭვრეტა იმ მოვლენების რა გავლენაც შესაძლოა იქონიოს 2021 წელს COVID-19 პანდემიამ საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავლის გაუარესებულმა პერსპექტივამ გამოიწვია მიმდინარე და მომდევნო წლის ბოლოსთვის მნიშვნელოვანი სავალუტო ბაზრის არამდგრადობა, რაც გამოიხატა მნიშვნელოვნად გაუფასურებულ ლარში დოლართან მიმართებით. ასევე აღსანიშნავია რომ, კომპანია ემორჩილება საქრთველოს მთავრობის მიერ მიღებულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და წესებს და იმედოვნებს რომ ყველა აუცილებელ ზომას იღებს რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომელბის უსაფრთხოება, კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა, მოქმედებს ბიზნესის მდგრადობის და განვითარების მხარდასაჭერად.

**ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 20 სექტემბერს**

დირექტორი: ............................................. //ემზარ ღარიბაშვილი//

მთ.ბუღალტერი: ...................................... //ირაკლი ვეკუა//

## 19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები:

- ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციების შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. (ასეთის არსებობის შეთხვევაში). 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის 20.09.2021 კომპანიაში განხორციელდა სარეგისტრაციო ცვლილება, კერძოდ შეიცვალა კომპანიის იურიდიული მისამართი რომელიც უკვე ასახულია **„ზოგად ინფორმაციაში. 6. გვ“**
- მთელ მსოფლიოში ახლად წარმოქმნილ ვითარებიდან გამომდინარე (COVID-19 პანდემია), საქართველოს მთავრობამ, ახალი კორონა ვირუსის COVID-19-ის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით აამოქმედა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს და წესებს. კომპანიის შეფასებით, მსოფლიოს და საქრთველოს მასშტაბით მოპოვებული არსებული მწირი სტატისტიკით, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ, შემდეგი 1 (ერთი) წლის განმავლობაში როგორც ეს მოხდა 2020 წელს, აღნიშნულ სიტუაციას (COVID-19 პანდემია) შესაძლოა ქონდეს (2020 წელს აღნიშნულს სიტუაციას ქონდა ნეგატიური გავლენა კომპანიის საქმიანობაზე) ნეგატიური გავლენა კომპანიის სამეწარმეო საქმიანობაზე გამომდინარე იქიდან რომ, 2020 წლის 20 მარტიდან 2020 წლის 28 აპრილამდე კომპანიას მოუწია სამეწარმეო საქმიანობის შეჩერება სახელმწიფო რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე მუდვივად იცვლებოდა სამეწარმეო გარემო საქართველოში, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის სავაჭრო მოქმედებებზე, ასევე კომპანიას არ შეუძლია წინასწარ განჭვრეტა იმ მოვლენების რა გავლენაც შესაძლოა იქონიოს 2021 წელს COVID-19 პანდემიამ საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავლის გაუარესებულმა პერსპექტივამ გამოიწვია მიმდინარე და მომდევნო წლის ბოლოსთვის მნიშვნელოვანი სავალუტო ბაზრის არამდგრადობა, რაც გამოიხატა მნიშვნელოვნად გაუფასურებულ ლარში დოლართან მიმართებით. ასევე აღსანიშნავია რომ, კომპანია ემორჩილება საქრთველოს მთავრობის მიერ მიღებულ შეზღუდვებს, რეგულაციებს და წესებს და იმედოვნებს რომ ყველა აუცილებელ ზომას იღებს რათა უზრუნველყოს თავისი თანამშრომელბის უსაფრთხოება, კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა, მოქმედებს ბიზნესის მდგრადობის და განვითარების მხარდასაჭერად.

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2021 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი: ................................................. //ემზარ ფარინაშვილი//

მთ.ბუღალტერი: ................................................. //ირაკლი ვეკუა//